

„ვამტკიცებ“

შპს „ბაუ ინტერნეიშენალ უნივესიტი, ბათუმი“ 2014 წლის 27 ნოემბერის
პარტნიორთა კრება ოქმი №6

ჯოშქუნ ინჯე

ზია ალფაი

„ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“

“BAU International University, Batumi”

წესდება

პრეამბულა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სასწავლო უნივერსიტეტი „ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“ („BAU International University, Batumi“) (შემდგომში - უნივერსიტეტი) შექმნილია ”მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად.

უნივერსიტეტის ზოგადი მიზნებია ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაცია, ახალი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ცოდნის ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა; თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების განხორციელება. უნივერსიტეტის კარი ღიაა ყველა სტუდენტისა და პროფესორისათვის რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის და საცხოვრებელი ადგილის განურჩევლად.

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. უნივერსიტეტის წესდების რეგულირების სფერო

წესდება არეგულირებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის განხორციელების პროცესს, მართვისა და დაფინანსების პრინციპებს და წესებს.

მუხლი 2. უნივერსიტეტის სტატუსი

უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა. მისი სრული დასახელებაა სასწავლო უნივერსიტეტი „ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“ (BAU International University, Batumi) შემოკლებული „ბაუ“.

უნივერსიტეტის მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩა #14.

უნივერსიტეტი ახორციელებს თავის საქმიანობას საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობის, პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების აქტებისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

მუხლი 3. უნივერსიტეტის სიმბოლიკა

უნივერსიტეტს აქვს ბეჭედი, შტამპი და ბლანკები უნივერსიტეტის სრული დასახელებით და ლოგოთი.

მუხლი 4. უნივერსიტეტის მისია, მიზნები და ამოცანები

მისია

სასწავლო უნივერსიტეტის „ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“-ს (BAU International University, Batumi) მისიაა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პოლიტიკა, კონკურენტუნარიანი, მაღალი ზნეობრივი სტანდარტების, კვალიფიციური, მეცნიერული ხედვითა და ინოვაციური ტექნოლოგიების ცოდნით აღჭურვილი, ლიბერალური ღირებულებების მქონე კადრების მომზადება.

მისიიდან გამომდინარე უნივერსიტეტის ძირითადი მიზნებია:

- ✓ განახორციელოს და განავითაროს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები (ერთსაფეხურიანი, საბაკალავრო და სამაგისტრო);
- ✓ მოამზადოს მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნებიან საერთაშორისო შრომის ბაზარზე;
- ✓ ხელი შეუწყოს სასწავლო უნივერსიტეტის ინტეგრაციას მსოფლიო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში;
- ✓ შეიმუშაოს და განახორციელოს საქართველოს და უცხოეთის უნივერსიტეტებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები და სამეცნიერო-კვლევითი პროექტები;
- ✓ უზრუნველყოს პროფესორ-მასწავლებლების აკადემიური თავისუფლება;
- ✓ შექმნას სტუდენტზე მორგებული საუნივერსიტეტო გარემო სწავლისა და სამეცნიერო მუშაობისათვის;

სასწავლო უნივერსიტეტის ძირითადი ამოცანებია:

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების პერმანენტული დახვეწა და საგანმანათლებლო პროცესის ინოვაციური განვითარება;
- ✓ პოტენციური დამსაქმებელის ინტერესების გათვალისწინება;
- ✓ სტუდენტისათვის პროფესიონალად ჩამოყალიბების მაქსიმალური ხელშეწყობა;
- ✓ სამეცნიერო კვლევებისა და ახალი ცოდნის დანერგვის ხელშეწყობა;
- ✓ საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარება;
- ✓ სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობა;
- ✓ საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა;
- ✓ პროფესორის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

მუხლი 5. საქმის წარმოების ენა

უნივერსიტეტში სამუშაო და საქმისწარმოების ენაა ქართული და ინგლისური.

თავი II

უნივერსიტეტის მართვა

მუხლი 6. უნივერსიტეტის მართვის ორგანოები და სტრუქტურა

- 1.1. უნივერსიტეტის მართვის ორგანოები: პარტნიორთა კრება, აკადემიური საბჭო, რექტორი, რექტორის მოადგილე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის-ფაკულტეტის მართვის ორგანოა ფაკულტეტის საბჭო და დეკანი.
- 1.2. უნივერსიტეტი შედგება ძირითადი საგანმანათლებლო (ფაკულტეტის/ების), დამხმარე (ბიბლიოთეკა) და სხვა სტრუქტურული ერთეულებისაგან.
- 1.3. გადაწყვეტილებას საუნივერსიტეტო მნიშვნელობის ერთეულების შექმნის ან გაუქმების შესახებ იღებს რექტორი და ამტკიცებს აკადემიური საბჭო. საუნივერსიტეტო ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ წესდებით და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

მუხლი 7. უნივერსიტეტის მართვის პრინციპები

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

- 1.1 უნივერსიტეტის გადაწყვეტილებების, რექტორის ბრძანებების საჯაროობასა და მათ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისათვის;
- 1.2 აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას;
- 1.3 არჩევნების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას, კონკურსის საჯაროობას. საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო დისციპლინების გამჭვირვალობას.

მუხლი 8. აკადემიური საბჭო :

- 1.1 უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო (შემდგომში აკადემიური საბჭო) არის უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე - რექტორი და აკადემიური საბჭოს წევრები, რომლებიც აირჩევიან ფაკულტეტის/ების აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ.
- 1.2 აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს დადგენილება, გამოაქვეყნოს განცხადება, გააკეთოს წარდგინება, რომლებსაც ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 9. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება

1.1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო:

- ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას;
- ბ) ფაკულტეტის წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებს;
- გ) ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას;
- დ) მონაწილეობს უნივერსიტეტის წესდებებსა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებში შესატან ცვლილებათა განხილვაში;
- ე) შეიმუშავებს და ამტკიცებს დაწესებულების შინაგანაწესს და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს;
- ვ) ამტკიცებს აკადემიური პერსონალის არჩევისა და მოწვეულ პედაგოგთა სამსახურში მიღების წესს;
- ზ) ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, აგრეთვე ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ფაკულტეტების წარდგინებით;
- თ) ადგენს შიდა მობილობის გამოცხადების ვადებს ;
- ი) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მონიტორინგის წესს;
- კ) უნივერსიტეტის წესდებით შემუშავებული და სხვა გადაუდებელი საკითხების გადაწყვეტის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში წევრებისაგან, ხმათა უმრავლესობით, ქმნის დროებით კომისიებს, კომისია ამზადებს საკითხს და განსახილველად გამოაქვს აკადემიური საბჭოს სხდომაზე;
- ლ) საჭიროების შემთხვევაში იწვევს ექსპერტს;
- მ) თანხმობას უცხადებს რექტორს, უცხო ქვეყნის მოქალაქე მეცნიერის ან საზოგადო მოღვაწისათვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების თაობაზე;
- ნ) განიხილავს უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტს;
- ო) პერიოდულად განიხილავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და ქვედანაყოფების ანგარიშებს.

1.2. აკადემიური საბჭოს წევრს უწყდება აკადემიური საბჭოს წევრობა:

ა) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეუთავსებელი აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების შემთხვევაში;

ბ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შემთხვევაში.

მუხლი 10. აკადემიური საბჭოს მუშაობის წესი

1.1. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის რექტორი;

1.2. აკადემიური საბჭო იკრიბება საჭიროებისამებრ. თავმჯდომარეს შეუძლია, საკუთარი ინიციატივით ან წევრთა 1/3-ის მოთხოვნით, მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა;

1.3. აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის 2/3;

1.4. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს სრული შემადგენლობის უმრავლესობა;

1.5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, აკადემიური საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია. აკადემიური საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის 1/4-ს უფლება აქვს, მოითხოვს ფარული კენჭისყრა. კენჭისყრა იქნება ფარული, თუ მას მხარს დაუჭირს დამსწრე წევრთა უმრავლესობა;

1.6. აკადემიური საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ იწარმოება ოქმი. ოქმს ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი;

1.7. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს აკადემიური საბჭოს მდივანი, რომელსაც საკუთარი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით ირჩევენ აკადემიური საბჭოს წევრები.

მუხლი 11. უნივერსიტეტის რექტორი

1.1. რექტორი არის შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“ სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პარტნიორთა კრება.

1.2. რექტორი:

ა) წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ქვეყნის შიგნით და გარეთ აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებში, რისთვისაც უფლებამოსილია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელით დადოს გარიგებები და შეთანხმებები. თუ გარიგების და შეთანხმების დადება დაკავშირებულია ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებთან, პარტნიორთა კრებასთან შეთანხმებით ხელს აწერს აგრეთვე ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

ბ) გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

გ) გამოსცემს ბრძანებებს რექტორის მოადგილის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, დეკანის, დეკანის მოადგილის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა და პერსონალის, აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის და სხვა პირების დანიშვნა განთავისუფლების შესახებ. დებს და წყვეტს მათთან შრომით ხელშეკრულებებს;

დ) მესამე პირებთან ურთიერთობისას უნივერსიტეტის ინტერესების დაცვის მიზნით უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და სხვა პირებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანიჭებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას;

ე) პერიოდულად ისმენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელ პირთა ინფორმაციებს, ატარებს სხდომებს, რომლებზეც ისმენს სხდომებზე დასასწრებად მოწვეული უნივერსიტეტის თანამშრომლების ინფორმაციებს სასწავლო და სამეცნიერო პროცესის, საშინაო და საგარეო საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ;

ვ) ახორციელებს კანონმდებლობით და წესდებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 12. რექტორის მოადგილე

უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობას და ახორციელებს რექტორის მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებას. რექტორის ადგილზე არ ყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას.

მუხლი 13. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) არის უნივერსიტეტის უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი მატერიალური რესურსების სფეროში და წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში.

ა) ხელმძღვანელობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას;

ბ) უფლებამოსილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელით დაწესებულების ბიუჯეტის შესაბამისად პარტნიორთა კრებასთან შეთანხმებით დადოს ფინანსური და ეკონომიკური გარიგებები

გ) ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის სტრუქტურის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს პარტნიორთა კრებას.

დ) პარტნიორთა კრებასთან შეთანხმებით ამტკიცებს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესს, მათი შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს.

ე) ხელმძღვანელობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ერთიანი ბიუჯეტის პროექტის ფორმირებასა და დამტკიცების პროცესს;

ვ) ამზადებს შესრულებული სამუშაოს ყოველწლიურ ანგარიშს და წარუდგენს

პარტნიორთა კრებას.

ზ) გამოსცემს ინდივიდუალურ აქტებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

თ) პასუხისმგებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე;

ი) ასრულებს წესდებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

კ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია პარტნიორთა კრებისა და რექტორის წინაშე.

მუხლი 14. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1.1. უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის, აგრეთვე პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

1.2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კავშირს ამყარებს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად;

1.3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის მაღალ დონეს სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და სხვა) დანერგვისა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადების გზით;

1.4. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასებას ახდენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რისთვისაც იყენებს წინასწარ შემუშავებულ მექანიზმს;

1.5. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია, გაწეული მუშაობის შესახებ ყოველწლიური ანგარიში წარუდგინოს აკადემიურ საბჭოს.

თავი III

უნივერსიტეტის ფაკულტეტი

მუხლი 15. ფაკულტეტი

1.1. უნივერსიტეტის ფაკულტეტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ძირითად სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთი ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას.

1.2. გადაწყვეტილებას ფაკულტეტის შექმნის, რეორგანიზაციის ან გაუქმების შესახებ, იღებს რექტორი, აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით;

1.3. ფაკულტეტის შემადგენლობაში შეიძლება, შევიდეს საფაკულტეტო მნიშვნელობის, სამეცნიერო და დამხმარე (დეპარტამენტები, ბიბლიოთეკა და სხვა) სტრუქტურული ერთეულები. გადაწყვეტილებას საფაკულტეტო მნიშვნელობის ახალი ერთეულების შექმნის ან არსებული ერთეულების გაუქმების შესახებ, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ან საკუთარი ინიციატივით, იღებს რექტორი აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით. საფაკულტეტო მნიშვნელობის ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით;

1.4 ფაკულტეტის მართვის ორგანოებია: ფაკულტეტის საბჭო, დეკანი.

მუხლი 16. ფაკულტეტის საბჭო

1.1. ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები. საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით;

1.2. ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა რაოდენობა არ უნდა იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები;

1.3. ფაკულტეტის დეკანი შედის ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში.

მუხლი 17. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება

ფაკულტეტის საბჭო:

1.1. ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

1.2. ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს;

1.3. კურსდამთავრებულს ანიჭებს აკადემიურ ხარისხს;

1.4. ახორციელებს ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 18. ფაკულტეტის დეკანი

1.1. ფაკულტეტის დეკანს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი;

1.2. ფაკულტეტის საქმიანობას ხელმძღვანელობს დეკანი, რომელიც:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურად წარმართვას;

ბ) უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია აკადემიური საბჭოსა და რექტორის გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ე) ახორციელებს ამ წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას;

ვ) ვალდებულია, ყოველწლიურად ანგარიში ჩააბაროს აკადემიურ საბჭოს, გაწეული მუშაობის შესახებ.

მუხლი 19. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

1.1. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წარმოადგენს სასწავლო-სამეცნიერო ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს უნივერსიტეტის წესდებისა და საკუთარი დებულების შესაბამისად;

1.2. ბიბლიოთეკა წარმოადგენს საინფორმაციო-სასწავლო და სამეცნიერო ცენტრს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მომსახურებას;

1.3. ბიბლიოთეკა წარმართავს სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიულ საქმიანობას;

1.4. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს პერიოდულ გამოცემათა შეძენას, მათ აღრიცხვას, მოვლა-შენახვასა და გამოყენებას;

1.5. ბიბლიოთეკის მუშაობას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკის დირექტორი რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რექტორი.

თავი IV

უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევის წესი

მუხლი 20. აკადემიური საბჭოს არჩევის წესი

1.1. აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ღია კენჭისყრით. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო ხმის უფლების მქონე პირთა ნახევარზე მეტმა;

1.2. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება 5 წევრით;

1.3. აკადემიურ საბჭოში თითოეული ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს ჰყავს თანაბარი რაოდენობის წარმომადგენელი. არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვებთან შედარებით ხმების მეტ რაოდენობას;

1.4. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი;

1.5. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის ვადა განისაზღვროს 2 წლით;

1.6. აკადემიური საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

თავი V

სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალი

მუხლი 21. უნივერსიტეტის პერსონალი

უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი;

მუხლი 22. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი

- 1.1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან.;
- 1.2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნებიან: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი;
- 1.3. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს. მათი დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს პარტნიორთა კრება;
- 1.4. ასისტენტი – პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს, მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.

მუხლი 23. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

- 1.1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს;
- 1.2. კონკურსის ჩატარების წესი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. საბუთების მიღება გრძელდება არა უმეტეს 1 კვირისა, კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არა უგვიანეს ერთი კვირის ვადაში

მუხლი 24. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები

- 1.1. პროფესორის თანამდებობა შეიძლება, დაიკავოს დოქტორის (მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირმა, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
- 1.2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობა შეიძლება, დაიკავოს დოქტორის (მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე, პირმა, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- 1.3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობა შეიძლება, დაიკავოს დოქტორის (მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირმა;
- 1.4. ასისტენტის თანამდებობა შეიძლება, დაიკავოს დოქტორანტმა;
- 1.5. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობების თანახმად (მუხლი 35 მე-5 პუნქტი) უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე დაშვებულია აჩეული იყოს

მაგისტრი ან მაგისტრთან გათანაბრებული წოდების მქონე პირი. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია უნდა დადასტურდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციით მქონეთ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისატვის აუცილებელი კომპეტენცია.

მუხლი 25. აკადემიური პერსონალის უფლებები

აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:

- 1.1. მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვაში;
- 1.2. ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო შრომების გამოქვეყნება;
- 1.3. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;
- 1.4. განახორციელოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

მუხლი 26. აკადემიური პერსონალის ვალდებულებები

აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

- 1.1. დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მოთხოვნები;
- 1.2. დაიცვას შინაგანაწესი;
- 1.3. შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები და სხვა.

მუხლი 27. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები

აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია:

- 1.1. პირადი განცხადება;
- 1.2. ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;
- 1.3. შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;
- 1.4. შინაგანაწესის უხეში ან სისტემატური დარღვევა;
- 1.5. პენსიაზე გასვლა;
- 1.6. კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 28. ადმინისტრაციული თანამდებობები და სხვა პერსონალი

- 1.1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, რექტორის მოადგილე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის დეკანი;
- 1.2. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნებიან უნივერსიტეტის საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა პირები;
- 1.3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი;
- 1.4. მოწვეულ პედაგოგი უფლებამოსილია გაუძღვეს სასემინარო, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

მუხლი 29. ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე გათავისუფლების საფუძვლები

ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე გათავისუფლების საფუძვლებია:

- 1.1. პირადი განცხადება;
- 1.2. სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
- 1.3. სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად ცნობა;
- 1.4. გარდაცვალება;
- 1.5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

თავი VI

სტუდენტი

მუხლი 30. უნივერსიტეტის სტუდენტი

უნივერსიტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში.

მუხლი 31. სტუდენტის უფლებები

უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს:

- 1.1. მიიღოს ხარისხიანი განათლება;
- 1.2. უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- 1.3. მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში;
- 1.4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტის საქმიანობის, მათ შორის, საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ;
- 1.5. აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნას სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებში;
- 1.6. აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;
- 1.7. საქართველოს კანონმდებლობისა და სასწავლო უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად სახელმწიფოსაგან, სასწავლო უნივერსიტეტისაგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;
- 1.8. მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები;
- 1.9. განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება;
- 1.10. უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა არის უნივერსიტეტის შემადგენლობაში არსებული სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო. სტუდენტური თვითმმართველობა მონაწილეობს უნივერსიტეტის მართვაში, ხელს უწყობს სტუდენტთა კულტურული ცხოვრების განვითარებას და წარმოადგენს სტუდენტთა ინტერესებს ადმინისტრაციასთან ურთიერთობაში. სტუდენტური თვითმმართველობა მისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს, იმ მიზნით რათა დაიცვას სტუდენტთა უფლებები და აამაღლოს მათი განათლება საკუთარი უფლებების ცოდნის თვალსაზრისით.

მუხლი 32. სტუდენტის ვალდებულებები

სტუდენტი ვალდებულია:

- 1.1. უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა;
- 1.2. დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის წესდება და შინაგანაწესი.

მუხლი 33. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობა

სტუდენტის დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით;

მუხლი 34. სტუდენტის სტატუსის მოპოვება/ შეჩერება/ შეწყვეტა/მოხილობა

სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მოხილობის წესებს განსაზღვრავს უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი“

თავი VII

განათლების საფეხურები

მუხლი 35. განათლების საფეხურები

1. 1. უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი განათლება ორსაფეხურიანია.

1. 2. აკადემიური განათლების საფეხურებია:

ა) პირველი საფეხური - ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს,

ბ) მეორე საფეხური - მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს.

გ) ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა - დიპლომირებული მედიკოსი/დიპლომირებული სტომატოლოგი, მოიცავს არა ნაკლებ 360/300 კრედიტს;

მუხლი 36. აკადემიური ხარისხის მინიჭება და დიპლომი

აკადემიურ ხარისხს მინიჭების საფუძველია პროგრამით განსაზღვრული კრედიტების ათვისება და სწავლის შედეგების მიღწევა. დიპლომი გაიცემა კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი VIII

უნივერსიტეტის ქონება და დაფინანსება

მუხლი 37. უნივერსიტეტის ქონება და დაფინანსება

- 1.1. შპს „ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმს“ მიზნებისა და საქმიანობის განხორციელებისათვის ქონებით უზრუნველყოფს დამფუძნებელი;
- 1.2. დამფუძნებელი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ დაუთმოს თავისი წილი სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს;
- 1.3. თავისი საქმიანობის შესაბამისად საზოგადოება დამოუკიდებლად ფლობს, სარგებლობს და განკარგავს საკუთარ ქონებას. მას უფლება აქვს, დადოს გარიგებანი, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, იყოს მოსარჩლე და მოპასუხე სასამართლოში, უფლება აქვს, თავისი ქონების მიმართ განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას;
- 1.4. საზოგადოებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მოქმედებს თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპზე;
- 1.5. საზოგადოებას აქვს საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საქართველოს და სხვა ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში, აგრეთვე აქვს ბეჭედი, ბლანკი და იურიდიული პირის სხვა ატრიბუტები.

თავი IX

უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებების შეტანა

მუხლი 38. უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებების შეტანის წესი

უნივერსიტეტის წესდებას ამტკიცებს და მასში ცვლილებები შეაქვს შპს „ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმში“ პარტნიორთა კრებას.

თავი X

აღრიცხვა, ანგარიშგება, რევიზია

მუხლი 39. აღრიცხვა ანგარიშგება, რევიზია

სასწავლო უნივერსიტეტში ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი ხორციელდება ამ სფეროს შესაბამისი მარეგულირებელი კანონით.

თავი XI

რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 40. უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

- 1.1. უნივერსიტეტის, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის უფლება აქვს საზოგადოების დამფუძნებელს;
- 1.2. დამფუძნებლის რეორგანიზაციის (იურიდიული პირის) შემთხვევაში, ქონებრივი და სამართლებრივი მემკვიდრეობა გადადის მის სამართლებრივ მემკვიდრეზე.

თავი XII

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 41. უნივერსიტეტის გარდამავალი დებულებანი

უნივერსიტეტის აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილების ცნობამდე:

- ა) უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ აკადემიური საბჭოს (მუხლი 9) უფლებამოსილებას სრულად ახორციელებს უნივერსიტეტის რექტორი, ხოლო ფაკულტეტის საბჭოს (მუხლი 17) უფლებამოსილებას - ფაკულტეტის დეკანი.

თავი XIII

მუხლი 42. პარტნიორთა კრება:

1. ნიშნავს რექტორს;
2. ამტკიცებს უნივერსიტეტის სტრუქტურას;
3. განსაზღვრავს ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს;
4. განსაზღვრავს სწავლის საფასურსა და გადახდის პირობებს;
5. განსაზღვრავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას.